

**კავკასიონის მთავარი ქედის ყაზბეგი-ლაგოდების ზონის
აალენ- ბაიოსური ბაზალტური ვულკანიზმი ალაზანგალმა კახეთის მაგალითზე
კარლო აქიმძე, გიგა ნონიაშვილი**

ელ-ფოსტა: karlo.aqimidze@tsu.ge

გეოლოგიის დეპარტამენტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი, თბილისი, უნივერსიტეტის ქ. 13, 0186

საქართველოს ტერიტორიაზე, კავკასიონის იურული ასაკის ფიქლების სერიაში ბაზალტური, ანდეზიტბაზალტური მაგმატიზმი, დაიკური და ეფუზური ფაციესების სახით, ფართედაა წარმოდგენილი; ფიქსირდება ალაზანგალმა კახეთიდან დაწყებული, დასავლეთით – მდ. ბზიფის სათავეების ჩათვლით.

დადგენილია რომ: ა) ვულკანური კომპლექსების გენეზისის საკითხები ერთიან კავშირშია რეგიონის გეოლოგიურ ფორმირებასთან და მისი ისტორიის განსაზღვრის ერთ-ერთ უმთავრეს გასაღებს წარმოადგენს; ბ) კოლჩედანური სპილენძ-პოლიმეტალური გამადნება პირდაპირ გენეტურ კავშირშია, ბაზალტურ მაგმატიზმთან და გ) ამ მაგმური აქტივობის უშუალო პროდუქტი– ჰიპაბისური და ექსტრუზული ქანები – წარმოადგენს ძვირფას სანახელავო და მოსაპირკეთებელი ქვის წედლეულს. შესაბამისად, ამ კომპლექსის შესწავლას, თეორიულთან ერთად, დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

ვულკანური პროცესების შესწავლა საქართველოში საუკუნის წინ დაიწყო. აკადემიკოსი ს. ბელიანკინი იყო პირველი (1914), რომელმაც მთავარი ქედის ხევსურეთის ზონაში გამოყო ალბიტანი (კოლოტანის) და ლაბრადორიანი (ასის) ტიპის დიაბაზები. დიაბაზური დაიკური კომპლექსის არსებობა ფიქლების სერიაში დადასტურდა შემდეგ- ჯერ კახეთში (ლ.ვარდანიანი,1932), შემდეგ- აფხაზეთში (გ.ჩხოტუა 1941), რაჭასა (ნ.თათრიაშვილი,1941) და სვანეთში (გ.ზარიძე 1941, 1947); ანუ კავკასიონის სამხრეთი ფერდის ფიქლების სერიის მთელ ზოლზე – დიაბაზური სარტყელის სახით.

უფრო გვიანდელი კვლევების შედეგად დაგროვდა ფაქტიური მასალა, რომლის მიხედვითაც კავკასიონის ფიქლების სერიაში, დიაბაზურ კომპლექსთან ერთად, გამოვლინდა ბაზალტური ეფუზური მაგმარიზმის რამოდენიმე კვანძიც- მდ. ბზიფის ზემოწელში (მ. ბერიძე, 1977,1983), ხევი-ხევსურეთის რეგიონში (გ. ჩიხრაძე, 1979) და ალაზანგალმა კახეთის ტერიტორიაზე(პ. ავალიშვილი,1956; მ.ფრუიძე,1979 ; კ. აქიმძე,2004). ამასთან როგორც ჰიპაბისური, ისე ეფუზური ფაციესის სახით, მაგმური კომპლექსი საუკეთესოდ არის გამოვლენილი კახეთის რეგიონში. აქ დადგენილია მაგმატიზმის სამი ეტაპი: 1.სინემურულ-ადრე პლინსბახური; 2. გვიანპლინსბახ-ადრეტოარსული და 3.აალენ-ბაიოსური.

კახეთის რეგიონში დღემდე ყველაზე სუსტად აალენ -ბაიოსური ვულკანიზმი შესწავლილი. სწორედ აღნიშნულის გამოსწორების მცდელობა იყო 2018 წლის ზაფხულში ჩვენს მიერ შესრულებული საველე-გეოლოგიური სამუშაოები ამ ტერიტორიაზე. კვლევის შედეგად თელავის რაიონის სოფ. შაქრიანის მიდამოებში დადასტურდა პ. ავალიშვილის მიერ 1956 წ. დაფიქსირებული აალენ-ბაიოსური ვულკანიზმის არსებობა. ჩვენ ადგილზე შევისწავლეთ ეს გამოსავალი. ვულკანოგენურ- დანალექი შრენარის სიმძლავრე აქ 120-130 მ შეადგენს და მიმართებაზე 3.7-4 კმ-ზე იდევენბა. წარმოდგენილია 12 და 7 მ სიმძლავრის ბალიშა ტექსტურის მქონე 2 ლავური განფენითა და 2 და 3.5 მ. სიმძლავრის ტუფიტების ჰორიზონტით, რომელიც ქვიშაქვა-თიხაფიქლების შრეებითა და დასტებით არის განმხობილი. პერტოლოგიური კვლევის მიზნით ავიღეთ შესაბამისი ქვა მასალა, რომლის დამუშავებაც ამჟამად მიმდინარეობს. მიკროსკოპული შესწავლით უკვე დგინდა სპილიტური კომპლექსის არსებობა, რომლის დეტალური ანალიზი მოხსენებაში იქნება განხილული.